საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3789/01
19/04/2021

3789-01-2-202104191106

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 15 მარტის N4419 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეღვანის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წელიწადში 550 860 m^3) სამეწარმეო მიზნით მოპოვებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვეს, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ,,ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ ,,ზურმუხტის ქსელის" დამტკიცებულ საიტს (ბორჯომ-ხარაგაული 2 - GE0000059). ამასთან, სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს საქმიანობამ ბიომრავალფეროვნებაზე და იქ არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე. შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ზემოაღნიშნულ საკითხებს. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია როგორ მოხდება მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება და რა ხანგრძლივობით.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044